# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. ბორჯომი 16 ოქტომბერი 2019 წ

( 2019 წლის 14 მაისს გაფორმებული # 187 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში (CPV 45200000) ცვლილებების შეტანის შესახებ)

ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, მისამართი ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ 5, საიდენტიფიკაციო კოდი 2261619661, წარმოდგენილი ლევან ლიპარტიას სახით და მეორეს მხრივ შპს „წყალსადენის და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახური“, წარმოდგენილი დირექტორის ვასილ მჭედლიძის სახით, მისამართი ქ. ბორჯომი, რუსთაველის I შესახვევი. N8, საიდენტიფიკაციო კოდი 226166369.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის # 12 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის“ ჩატარების წესის მე-20 მუხლის, 2019 წლის 14 მაისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „წყალსადენის და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახურს“, შორის გაფორმებული # 187 (CPV 45200000) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-16 მუხლის და 2019 წლის 1 ივლისის N302 შეთანხმების, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი ყიფიანის 2019 წლის 16 ოქტომბრის N1899-02 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 2019 წლის 14 მაისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „წყალსადენის და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახურს“ შორის გაფორმებული # 186 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში (CPV 45200000) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. ცვლილება შევიდეს ხელშეკრულების მე-3 მუხლის 1 პუნქტში, სამუშაოს შესრულების ვადას 45 (ორმოცდახუთ) კალენდარულ დღეს დაემატოს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
   „მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში.“
2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „წყალსადენის და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახურს“, შორის 2019 წლის 14 მაისს გაფორმებული # 187 (CPV 45200000) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

თვითმმართველი ერთეული შპს„წყალსადენის და კანალიზაციის

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

მისამართი: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ N 5.

საიდენტიფიკაციო კოდი 226161961

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

სახაზინო კოდი 300629800,

ბანკის კოდი: TRESG22

ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები

ბორჯომის თემი

საექსპლუატაციო სამსახური“,

მის: ქ. ბორჯომი, რუსთაველის I შეს N8

საიდენტიფიკაციო კოდი 226166369

ს. ს. „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი TBCBG22

საანგარიშსწორებო ანგარიში

ა/ანგ N GE18TB0141336080100004

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

______________________ ლ. ლიპარტია

შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახურის“ დირექტორი

______________________ ვ. მჭედლიძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი

N 1899-02
16/10/2019

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლევან ლიპარტიას
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის
სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობაზე
ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის
გიორგი ყიფიანის

# მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 14 მაისს გაფორმებული N185, N186, N187 ხელშეკრულების და 2019წლის 28 ივნისის N295, 01 ივლისის N301 და N302 შეთანხმებების საფუძველზე შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახური" აწარმოებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აწარმოებს, სოფ. ცემის, ტბის და ლიბანის სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოებს.

2019 წლის 07 ოქტომბერს N12148/02 წერილით მოგვმართა შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახურმა" და ითხოვა სამუშაოების ვადის გაგრძელება, ვინაიდან ცენტრალურ მაგისტრალზე დაერთების სამუშაოები მოთხოვს სასმელი წყლის მაგისტრალის გადაკეტვას და სამივე სოფელს რამოდენიმე დღით შეუწყდება წყალმომარაგება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამუშაობის შესრულების ვადა გაიზარდოს 15 კალენდარული დღით 2019 წლის 30 ოქტომბრამდე, რათა მოხდეს რიგრიგობით მონაკვეთების გადერთება ცენტრალურ მაგისტრალზე და შესაბამისად მინიმალური დროით შეუწყდეს მოსახლეობას წყალმომარაგება.

გთხოვთ მისცეთ მითითება შესაბამის სამსახურს შეთანხმების პროექტის მოსამზადებლად.

გიორგი ყიფიანი

ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

შპს "წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლუატაციო სამსახური"

№31

07 ოქტომბერი 2019 წ

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლევან ლიპარტიას

2019 წლის 14 მაისს ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულება №185-186-187 საფუძველზე ვაწარმოებთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ცემში ლიბანში და ტბაზე სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოებს

საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, შეთანხმების საფუძველზე, სამუშაოების წარმოება დავიწყეთ 15 სექტემბრიდან, იმის გამო რომ ცენტრალურ მაგისტრალზე დაერთება მოითხოვს სასმელი წყლის მილსადენის გადაკეტვას, დაერთების დროს სამივე სოფელს შეუწყდება რამდენიმე დღით წყალმომარაგება

გთხოვთ გაგვიგრძელოთ სამუშაოების შესრულების ვადა, რათა მოვახდინოთ რიგრიგობით სოფლების ახალი წყალმომარაგების ქსელის დაერთება ცენტრალურ მაგისტრალზე და შესაბამისად მინიმალური დროით შეუწყდეს მოსახლეობას წყალმომარაგება

შპს წყალსადენისა და კანალიზაციის
საექსპლუატაციო სამსახური"-ს დირექტორი: ვ. ვასილ მჭედლიძე

საქართველო, ქ. ბორჯომი, რუსთაველის I შესახვევი №8 ს/კ 2261663696 ☎ 591644490
ელ-ფოსტა vasil-mchedlidze1971@mail.ru ☎ 0367 228777